პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 290 (13982) | ხუთშაბათი, 14 დეკემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მეტი ყურადღება მშრომელთა წერილებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ განიხილა რესპუბლიკის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მშრომელთა წერილების გატარებისა და მათზე რეაგირების საკითხი. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოებში მიღებულ მშრომელთა წერილებსა და განცხადებებში აღძრულია საკითხები, რომლებსაც დიდი პოლიტიკური და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ. მშრომელები აყენებენ აგრეთვე სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტულ საკითხებს, აღნიშნავენ ნაკლოვანებებსა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რაც ნათლად მოწმობს მშრომელთა ფართო მასების მზარდ პოლიტიკურ აქტივობას.

წერილების უმრავლესობა ნაკარნახევია კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წარმატებით წინსვლისათვის ზრუნვით. ისინი ხელს უწყობენ საერთო-სახალხო ამოცანების გადაჭრას და წარმოადგენენ პარტიისა და ხალხის კავშირის გაფართოებისა და გამტკიცების, სახელმწიფო საქმეების მართვაში მოსახლეობის მონაწილეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ფორმას, საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის საშუალებასა და ინფორმაციის წყაროს. ეს წერილები ხშირად არის პარტიული კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, სამინისტროთა [illegible] უწყებათა კოლეგიების განხილვის საგანი. ცალკეულ შემთხვევაში ისინი შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესების საფუძველს გვაძლევენ.

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს მოქალაქენი მომართავენ წერილებით და განცხადებებით, რომლებიც შეიცავს მათი პირადი ცხოვრების საკითხებს, კანონებისა და უფლებების ცალკეულ დარღვევას, განსაკუთრებით სახიანო და შრომის საკითხებში. და ამ, ერთი შეხედვით. უაღრესად პირადულ მიმართვებს დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, რადგან მოწმობენ საბჭოთა ადამიანების დიდ ნდობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

მშრომელთა წერილებზე მუშაობის ლენინური პრინციპი მოითხოვს ვხელმძღვანელობთ ამ წერილებში ნამდვილად ადამიანურ დოკუმენტებს, დროულად და ობიექტურად განვიხილოთ ისინი და განვაზოგადოთ კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებანი, მშრომელთა წერილებსა და საჩივრებზე მუშაობა მივიჩნიოთ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად.

ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმისა და პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ, გაწეულია გარკვეული დადებითი მუშაობა რესპუბლიკაში ამ საქმის გაუმჯობესებისათვის. ბევრ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში გაუმჯობესებულია მოქალაქეთა პირადი მიღება, ხოლო მიღებული წერილებისა და საჩივრების უმრავლესობას განიხილავენ სათანადო პასუხისმგებლობით, უურადღებითა და დროულად.

ამასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ აღნიშნა, რომ მშრომელთა წინადადებების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების დარგში მუშაობის მდგომარეობა ჯერ კიდევ სავსებით ვერ შესაბამება. მოთხოვნებს, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობამ წამოაყენა მშრომელთა მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი უურადღების გაძლიერების, სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვის საქმეში. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა არაპარტიულად, ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეკიდებიან მოქალაქეთა წერილებისა და საჩივრების განხილვას, ხშირად ანალიზს არ უკეთებენ წერილების არსსა და ხასიათს, არ გამოაქვთ სწორი დასკვნები, არ ახორციელებენ მშრომელთა საჩივრების წარმოშობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის მტკიცე ღონისძიებებს.

უურადღებები დამოკიდებულება მშრომელთა კანონიერი თხოვნისა და საჩივრისადმი, უსულგულო პასუხი და წერილების გაუმართლებელი გადაგზავნა სხვა დაწესებულებებში აჭიანურებენ საქმეს, იწვევენ წერილთა ავტორების უკმაყოფილებას და აიძულებენ მათ წერონ ხელმეორედ ან მიმართონ ზემდგომ ორგანებს იმ საკითხებზე, რომელთა გადაჭრა შედის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაში.

ხშირად უწყებათა, დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები უშუალოდ არ მონაწილეობენ წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში, ანდობენ მათ მუშაკებს, რომლებიც უფლებამოსილი არ არიან გადაწყვიტონ განცხადებულებათაგან სპინტერესო საკითხები. ზოგიერთ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში არ არის ყოველდღიური კონტროლი წერილების განხილვისა და ობიექტურ და ამომწურავ გადაწყვეტილებათა მიღების ვადების შესრულებისადმი. ცოტა შემთხვევა როდია, როცა მშრომელთა საჩივრების გამო იღებენ ზერელე გადაწყვეტილებებს, ზოგიერთი განცხადებელი პასუხს ელოდება დიდხანს და არაერთგზის შეხსენების შემდეგ იღებს ფორმალურ, ბიუროკრატიულ პასუხს. მოლიანად რდია ალმოფხვრილი ის მანკიერი პრაქტიკა, რომ საჩივრებს განსახილველად უგზავნიან იმ დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს, რომელთაც განცხადებელები უჩივიან. შეუწყნარებელია, აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ, როცა არ არის წერილების რეგისტრაციის ჯერჯვანი აღრიცხვა და წესი, კონტროლი მათი გატარებისა და წერილებში დასმული საკითხების სწორი გადაწყვეტისადმი.

მთელ რიგ შემთხვევებში მოქალაქეთა დაუსაბუთებელ ან არაკანონზომიერ განცხადებებსა და საჩივრებს მრავალგზის განიხილავენ სხვადასხვა დაწესებულებასა და კომისიაში როგორც სუბიექტურ გარემოებათა გამო, ისე იმის გამო, რომ განმცხადებლები არ იღებენ პირველი ინსტანციისგან მოქმედ კანონმდებლობაზე დაფუძნებულ განსაზღვრულ და ამომწურავ პასუხს. ამის შედეგად ფუჭად იხარჯება სახელმწიფო სახსრები, აგრეთვე პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაკთა დრო და ძალები. ასეთივე შედეგი მოსდევს იმას, რომ ყოველთვის საკადრის პასუხს არ ვაძლევთ იმ პირებს, რომლებიც თავიანთ წერილებში თხზავენ ცილისმწამებლურ ჭორებს.

ზოგიერთ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში წერილებზე მუშაობას ზერელე და არაკვალიფიციური ხასიათი აქვს. ჯერ კიდევ ყველგან პარტიული კომიტეტები ჭკაცრად როდი სთხოვენ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს განუხრელად შეასრულონ პარტიის მითითებანი მშრომელთა წერილებში დასმული საკითხების გადაწყვეტისადმი გულისხმიერი და უურადღებიანი მიდგომის შესახებ, ირჩენენ შემრიგებლობას თანამდებობის პირებისადმი, რომლებიც ფორმალურად ეკიდებიან და ყოველნაირად აჭიანურებენ საქმეს. საჩივრების შემოწმებასა და მათი გატარებისა და გადაწყვეტის კონტროლში ჯერ კიდევ ფართოდ არ ვიბამთ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივს. დაწესებულებებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შემოწმებისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ ვერ დაიკავეს სათანადო ადგილი სახალხო კონტროლის ორგანოებმა და მათმა აქტივმა.

ზოგიერთ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში არ იცავენ მოქალაქეთა მიღების დადგენილ წესს, დადგენილი არ არის მიღების დღეები და საათები, არ აღრიცხავენ მომსვლელებსა და გადაწყვეტილებებს მათი ზეპირი თხოვნის გამო, ხოლო იმ მუშაკთა მიერ მოქალაქეთა მიღების არსებული პრაქტიკა, რომლებსაც საკმარისი უფლებანი არა აქვთ საკითხების გადაწყვეტად, ხშირად იწვევს დაპირებებს, რომლებიც შემდეგ არ სრულდება. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომელიც იწვევს დაუსაბუთებელი საჩივრების რაოდენობის ზრდას, ის არის, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოები, სასამართლოს, პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოები, საზოგადოება „ცოდნა", შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებანი და სასწავლებლები, პრესა, რადიო, ტელევიზია ჯერ კიდევ საკმარისად არ განუმარტავენ მოსახლეობას მოქმედ კანონმდებლობას, საკმარისად არ ზრუნავენ სამართლის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობის გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის.

პრესაში საკმაო რაოდენობით არ ქვეყნდება სტატიები, რომლებიც ანალიზს უკეთებდნენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას წერილების განცხადებების, საჩივრების, კორესპონდენციების განხილვისათვის, განაზოგადებდნენ დადებითს გამოცდილებას, წერილებზე მუშაობის ახალ ფორმებს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ აღნიშნა, ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი ხშირად აიხსნება იმით, რომ სათანადო პარტიულ კონტროლს არ უწევენ საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი იშვიათად ისმენს ანგარიშებსა და ინფორმაციებს ამ საკითხზე, ყოველთვის მკაცრად და პრინციპულად როდი სთხოვს დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოს ხელმძღვანელებს, რომ განუხრელად შეასრულონ პარტიის მითითებანი მშრომელთა წერილების უურადღებით და ობიექტურად განხილვის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ დაავალა პარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებსა და უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დროს უზრუნველყონ ლენინური პრინციპების ზუსტად დაცვა, უველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შექმნან მშრომელთა წინადადებებისა და თხოვნისადმი ობიექტური, პრინციპული მიდგომის ატმოსფერო, დაუდევრობის, ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ შეურიგებლობის ატმოსფერო, წერილებზე მუშაობა მიიჩნიონ მთელი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და პასუხსაგებ უბნად, სისტემატურად გაუკეთონ ანალიზი მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი იმ ნაკლოვანებათა და მიზეზთა აღმოსაფხვრელად, რომლებიც საჩივრებს იწვევენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ წინადადება მისცა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მუდმივი და ქმედითი კონტროლი გაუწიონ იმას, რომ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დროულად, უურადღებით და ხარისხიანად განიხილავდნენ წერილებსა და საჩივრებს, უფრო მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ მათი ხელმძღვანელებისადმი, რათა სწორად წარმართავდნენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, მკაცრად დასაჯონ ისინი, ვინც ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმს იჩენს წერილებისა და საჩივრის განხილვის დროს, აგრეთვე აღკვეთონ კრიტიკის ჩახშობისა თუ განცხადებებისა და საჩივრების ავტორთა დევნის ცდები, ასეთი ფაქტები პირველად პარტიული ორგანიზაციების, კოლექტივების, ფართო საზოგადოებრიობის განხილვის საგნად გახადონ.

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანოებს მიეცათ რეკომენდაცია რეგულარულად განიხილონ წერილებზე მუშაობისა და მშრომელთა მიღების საკითხები, გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელონ ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, წერილების შემოწმებასა და განხილვაში უფრო ფართოდ ჩაებან პარტიული კომიტეტებისა და სარევნონო კომისიების, სახალხო კონტროლის კომიტეტების წევრები, საბჭოების დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, ძველი ბოლშევიკები. განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე განმეორებითი განცხადებებისა და საჩივრების განხილვას, საფუძვლიანად გამოიკვეს მათი მიღების მიზეზები, განახორციელდეს ზემოქმედების შესაბამისი ღონისძიებანი იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც უსულგულობასა და დაუდევრობას იჩენენ განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას.

მშრომელთა წერილებსა, განცხადებებსა და საჩივრების განხილვა უნდა მოხდეს ერთ თვეში დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში მათი მიღების დღიდან.

შრომის მოქმედი კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლისა და ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს, სახალხო კონტროლის კომიტეტს, საქართველოს სსრ პროკურატურასა და უმაღლეს სასამართლოს დაევალათ დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სისტემატურად და გეგმაზომიერად შეამოწმონ შრომითი კანონმდებლობის დაცვის წესი, განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი მოქალაქეთა შრომითი უფლებებისა და ინტერესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

სამართლებრივი პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საქართველოს პროფსაბჭოს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, ბეჭდვითი სიტყვის, კინემატოგრაფიის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტებს, მეცნიერებათა აკადემიას, საზოგადოება „ცოდნას", პროკურატურას, უმაღლეს სასამართლოსა და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამართლებრივი პროპაგანდისა და მოსახლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობის ახსნა-განმარტების უფრო ფართოდ გაშლას.

სათანადო წესრიგი უნდა დავამყაროთ მოქალაქეთა მიღების საქმეში, შემოვიღოთ მათთვის უფრო მოსახერხებელი მიღების დღეები და საათები, მათ შორის არა სამსახურებრივ საათებში, უნდა უზრუნველვყოთ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების მიერ მშრომელთა პირადი მიღება, გულისხმიერი და უურადღებითა მიდგომა მშრომელთა ყოველდღიური საჭიროებისადმი, მათი საფუძვლიანი და კანონიერი თხოვნის გადაწყვეტისადმი. უფრო ფართოდ უნდა გავავრცელოთ საზოგადოებრივ საწესებულებზე მისაღები ოთახების მუშაობის დადებითი გამოცდილება.

გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს დაევალათ ფართოდ გააშუქონ დადებითი გამოცდილება, რომელიც კარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანოებმა შეიძინეს მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში, სისტემატურად გამოაქვეყნონ გადაწყვეტილებანი საჩივრებისა და სიგნალების შესახებ, აგრეთვე მეცოხველთა ის წერილები, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საზოგადოებრივი აზრი უნდა შეიქმნას იმათ შესახებ, ვინც კონკრეტულად დამნაშავეა ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებაში საჩივრების განხილვის დროს, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სატირის მახვილი ინარადი. ამასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ აღნიშნა, რომ უნდა ვამხილოთ და გავკრიტიკოთ ისინი, ვინც წერილებში ცილისწამებას თხზავს. თუ საჭირო იქნება, უნდა გამოქვეყნდეს მასალები იმ მოქალაქეთა შესახებ, ვინც სისტემატურად უგზავნის სხვადასხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებას დაუსაბუთებელ, კანონს საწინააღმდეგო მოთხოვნებს და წერილებს, რომელთა გამო მათ მრავალგზის მიეცათ სწორი და ამომწურავი პასუხი. (საქდესი).

ხუთწლედი—ვადამდე!

აუსაზეთის ასს რესპუბლიკამ შეასრულა მანდარინის ნამზადების გეგმა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ჩაბმული არიან შეჯიბრებაში საიუბილეო წლის ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის და 7 დეკემბერს 107 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მანდარინის მიყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1.278 ტონა მანდარინი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.190 ტონისა.

სახელმწიფოსათვის მანდარინის მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

1968 წლის ანგარიშში

ჰიათურა. (საკ. კორ.). წარმატებით მუშაობს ჰიათურის ხორცკომბინატის კოლექტივი, რომელმაც საიუბილეო წლის დავალება ორი თვით ადრე შეასრულა, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მიაწოდა 408 ცენტნერი ხორცი.

მესამე კვარტალში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ ჰიათურის ხორცკომბინატის კოლექტივს მადლობა გამოუცხადა.

მოსკოველთა მოწოდების საპასუხოდ კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება აიღო ხუთწლედი ექვსი თვით ადრე შეასრულოს.

შრომითი ნოგათები

აბაშა. რაიონის მექანიზატორები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხუთწლედის მესამე წლის საგაზაფხულო თესვისათვის მოამზადონ ტექნიკა. მათი პირობა იყო მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში შეეკეთებინათ 11 ტრაქტორი. შრომის სწორად მოწყობის შედეგად პირველი დეკემბრისათვის პირობა 209 პროცენტით გაანაღდეს.

ზესტაფონი. რაიონის მექანიზატორებს 1968 წლის პირველი იანვრისათვის უნდა შეეკეთებინათ 5 ტრაქტორი, ფაქტიურად ეს სამუშაო განაღდებულია 120 პროცენტით. ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს გუთნების, სათესი მანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი.

ვანი. რაიონის მექანიზატორებმა პირობა ვადაზე ერთი თვით ადრე გაანაღდეს. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის ტრაქტორების რემონტის გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს. ახლა სათესი მანქანებისა და კულტივატორების შეკეთებაზე მუშაობენ.

ჯასპი. რაიონის მშრომელებმა 1968 წლის პირველ იანვრამდე 22 ტრაქტორის შეკეთება იკისრეს. მექანიზატორთა სიტყვას საქმე მოჰყვა. პირველი დეკემბრისათვის უკვე მზად იყო 22 ტრაქტორი.

ია ზოლდა სურგულაძე ახალგაზრდა მუშაკია, მაგრამ ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა, სადაც იგი მკერავად მუშაობს, დიდი მისია დააკისრა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია.

მოწინავე მკერავი დღეს ხუთწლედის ვადამდე შესრულების საპატიო ვახტზე დგას და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას აძლევს სამშობლოს.

სურათზე: ი. სურგულაძე.

მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 12 დეკემბერს კრემლის დიდ სასხლეში საუზმე გაუმართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ საუზმეზე იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილი შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ერიხ ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გერჰარდ გროუნერი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ბ. პაზიერეკი, ა. ი. პელშე, ფ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი და სხვა ოფიციალური პირნი.

საუზმის დროს, რომელმაც ჩაიარა გულთბილ, ბუღეთად ვითარებაში, ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ვ. ულბრიხტმა წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

12 დეკემბერს საღამოს მოსკოვიდან გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით.

დელეგაცია მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ერიხ ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ჭოუბერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მიტაგი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. აქსენი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. იაროვინსკი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე გ. შიურერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ბაიბაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ბ. აბრასიმოვი და სხვა ოფიციალური პირები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ჭოუბერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მიტაგი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. აქსენი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. იაროვინსკი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე გ. შიურერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე გ. ბაიბაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ბ. აბრასიმოვი და სხვა ოფიციალური პირები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ჭოუბერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მიტაგი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. აქსენი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. იაროვინსკი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე გ. შიურერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე გ. ბაიბაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტ

საქმიანობა და თაოსნობა

● ელმავლის შეკეთების ახალი მეთოდი ● ყოველი მესამე მატარებელი მძიმეწონიანია ● რაციონალიზატორთა წვლილი ● ინიციატივა და დაინტერესებულობა ● ახალი რეფორმის განხორციელების წინ.

ერთი რემონტის საამქროდან დეპოს ლიანდაგზე გამოვიდა ელმავალი „ვლ-8“, ვადაზე 10 საათით ადრე, დიდი და მძლავრი, შორეული რეისებისათვის განზადებული.

აქვე, თბილისის სალოკომოტივო დეპოს აწევითი რემონტის საამქროსთან, გავიგონეთ, როგორ ეუბნებოდა ოსტატი პარტიის წევრი ზურაბ ქურდაძე მერემონტეთა ბრიგადირს ავთანდილ ბათიაშვილს:

— აბ, ჩემო კარგო, რას იძლევა ტექნიკა და ლოკომოტივების შეკეთების აგრეგატული მეთოდი.

დავინტერესდით ამ საუბრით და წავედით დეპოს პარტკომში, რომ გაგვეგო, რას წარმოადგენს ელმავლების შეკეთების ეს ახალი მეთოდი. დეპოს კომუნისტების თავკაცმა ოთარ გოგინაშვილმა, თვითონ ყოფილმა მემანქანის თანაშემწემ, ხალისით გვიამბო, თუ რა იყო ახალი და შესანიშნავი დეპოში ამ ბოლო წელიწადს. განსაკუთრებით კი დირსსახსოვარი თარიღის — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში.

— საერთოდ რომ ითქვას, — დაიწყო ი. გოგინაშვილმა, — ჩემთვის გასაგებია ოსტატ ქურდაძის და ბრიგადირ ბათიაშვილის სიამაყე. თვითონ განსაჯეთ. უკანასკნელ დრომდე იძულებული ვიყავით „ვლ-8“ სერიის ელმავლები შესაკეთებლად გავგზავნა დონეცკის რკინიგზის „რასნილიმანის დეპოში. ძლავრი მანქანა, რომლის დანშნულებაა განუწყვეტლივ დაძაყადეს მატარებლები, დიდი ხნით გამოირიცხებოდა ხოლმე მუშაობიდან. სანამ დონეცკის რკინიგზაზე მიიყვანდნენ, შეაკეთებდნენ და უკან გამოგზავნიდნენ, 20-25 დღე გადიოდა. ეს ძვირი ჯღებოდა, შემოსავალი მცირდებოდა, გავლენას ახდენდა მაგისტრალის საექსპლოატაციო მუშაობაზეც. აბა რა გვექნა? საჭირო ტექნიკური ბაზა არა გვქონდა, გამოცდილებაც გვაკლდა — ეს ლოკომოტივები ხომ ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციისაა.

და აი ისინი, ოსტატი ქურდაძე და ბრიგადირი ბათიაშვილი, ერთ-ერთი ბრიგადენი მივიდნენ პარტკომში და თქვეს, ფულს ნუ ვატანთ ქარს, რემონტი ადგილზე ავითვისოთო. და ახლა ეამაყებათ, რომ მათი ჩანაფიქრი განხორციელდა: სარემონტო საამქროებში მოვიდა ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, საჭირო ადარ არის ელმავლების სხვაგან გაგზავნა შესაკეთებლად.

ნინათ დეპოში ასეთი ლაპარაკი იქნებ არც ყოფილიყო. რა სათაკეოა, ერთმა დეპომ მეორის ლოკომოტივები რომ შეაკეთოს. ახლა კი, როცა ცხოვრებაში სულ უფრო მტკიცედ იჭრება წარმოების დაგეგმვის და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა, ყოველივე იმას, რაც არახელსაყრელი და უხერხულია, აქ სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მეთაურები და რიგითი მუშაკები. ეს გასაგებიც არის, რადგან შეკეთებაზე დაზოგილი ყოველი მანეთი, ბაზაზე ლოკომოტივის სახარგებლო მუშაობის ყოველი დამატებითი საათი საწარმოს შესაძენევი შემოსავალია, ეს არის ახალი ჩარხებიც, ადამიანთა შრომის პირობების გაუმჯობესებაც, მათი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაც.

— ამრიგად, — ეუბნება საუბარში დეპოს უფროსი ვასილ კაცატაე, — ჩვენც გადავწყვიტეთ მოგვეტოვებინა ჯაკეალული გზა და ჩვენთან დაგვენერგა ელმავლების აწევითი რემონტის ქსელური მეთოდი. პირველად გვეგონა, არც თუ ძალიან რთულ ამოცანას ვკიდებთ ხელსო. შემდეგ კი, ლაპარაკიდან პრაქტიკულ საქმეებზე რომ გადავდიოდით, სულ უფრო მეტ სირთულეებსა და სიძნელეებს წავაწყდით. უნდა გამოგვენახა სახსრები ტექნიკის შესაძენად, საამქროების რეკონსტრუქციისათვის. ზოგიერთი კიდევაც დაეჭვდა, ვითუ აუცილაფერი ეს ვერ დავძლიოთო. მაგრამ ჩვენში პანიკას არ ჰქონია ადგილი, რადგან კომუნისტების ხასიათის მთავარი ნიშანია სიძნელეთა გაბედულად დაძლევა, მარტივიდან რთულზე გადასვლა.

პირველ ხანად დეპოში შეიძინეს, აიწყეს და ამუშავეს თვლების მძლავრი სახარატო ჩარხი. ძვირია, მაგრამ სახსრები არ დაიშურეს. ახლა ძალიან უხარიათ, რადგან ჩარხმა შესაძლებელი გახადა გოგორწყვილების ბანდაჟების მოხარატება ელმავლის ქვეშიდან გამოუგორებლად. გაიზარდა შემოსავალი და ბევრად შეუმსუბუქდათ შრომა ადამიანებს. თუ წინათ ამ შრომატევად ოპერაციაზე 16-მდე საათი იხარჯებოდა, ახლა საათზე ნაკლებია საჭირო. გავა ერთი თვე, მეორე, და ამ უნიკალური ჩარხის შეძენაზე დახარჯული თანხა ერთიანად ანაზღაურდება.

თვლების სახარატო ჩარხის შემდეგ შეიძინეს მეტად ეკონომიური სარეცხი მანქანა „ მმდ-12“. მისი დანიშნულებაა შეკეთების წინ მანქანების დეტალებისა და ურიკების გაწმენდა ჭუჭყისა და საცხების ზეთებისაგან. ამათ ორი რამ მოიგეს: მნიშვნელოვნად შემცირდა დეტალების გარეცხვის დრო და შესამჩნევად ამაღლდა წარმოების კულტურა.

მაგრამ საბჭოთა ადამიანების ბუნებაშია ახლის, პროგრესულის ყურვა. ერთი ნაბიჯი თუ გადადგეს ტექნიკური პროგრესისაკენ, აუცილებლად მეორესაც გადადგამენ. საჭირო გახდა ამწე მექანიზმების შეძენაც. ეს ნაკარნახევი იყო მერემონტეთა ინტერესებით. ელმავლის მფლობელი ან გოგორწყვილი ხომ ათ ან ას კილოგრამს კი არა, ათას კილოგრამს იწონის. დიდი ჯაფა ადგათ ამათ, ვისაც ეს უზარმაზარი დეტალები და ავანტები შეკეთების ადგილას უნდა მიეტანა. დაამონტაჟეს ბიდერი ამწე, რომელის ტვირთამწეობა 15 ტონას უდრიდა, და მნიშვნელოვნად — 10 კაცამდე შემცირდა დამხმარე მუშათა რიცხვი. საწარმომ „ი ათი ათას მანეთზე მეტი წლიური ეკონომია მიიღო.

— არც ისე ადვილი იყო ყოველივე ამის მიღწევა, — იღიმება პარტკომის მდივანი. — ბევრჯერ მოგვიგიდა „იერიშის“ მიტანა თბილისის სალოკომოტივო განყოფილებაზე. მოვითხოვდით, ვარწმუნებდით, ვუმტკიცებდით და, თუ ვნებავთ, ეშმაკობასა და მუქარასაც კი მივმართავდით.

თბილისის სალოკომოტივო დეპოს კომუნისტების მუშაობას იმ დღეებში ახასიათებდა საქმიანობა და გაბედული თაოსნობა, ავიღოთ თუნდაც ელმავლების აწევითი რემონტის აგრეგატული მეთოდი, რომელზეც ასე ცხარედ ლაპარაკობს ახლა ყველა დეპოელი. წინათ მასზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. ახლა კი მდიდარი ტექნიკა და მერემონტეთა მაღალი კვალიფიკაცია უკვე მაჩვენებელია საწარმოს ხიმწიფისა, რომელიც დაადგა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას და წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლის გზას.

— აგრეგატული მეთოდი, — გვიხატავშვილმა სადგურ სადახლოდან სოღანლუღში მიიყვანეს მატარებელი, რომლის წონა ნორმას 500 ტონით აღემატებოდა. მძიმეწონიანი მატარებელი დანიშნულების სადგურში გრაფიკზე 15 წუთით ადრე მივიდა. ეს სალოკომოტივო ბრიგადის დიდი წარმატებაა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დიდტვირთიანი შემადგენლობა მიჰყავდა ღამე და გზის მეტად რთულ უბანზე.

ემზადებიან რა იმისათვის, რომ 1 იანვრიდან გადავიდნენ წარმოების დაგეგმვისა და კონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობაზე, პარტკომის გადაწყვეტილებით დეპოში გადასინჯეს ძირითადი და სამუშაო სახსრები. მიმდინარეობს წარმოების ბალანსიდან ჩამოწერა ყველაფრისა, რაც საჭირო არ არის. განსაზღვრულია სხვა მთავარი ფაქტორებიც, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მოგების ზრდას. ეს არის რეკუპერაციის ფართო გამოყენებით დაზოგილი ელექტროენერგიის ახალი კილოვატ-საათები, მატარებლების ნონის გაზრდა ნეტარ ადგილდება და ამ საფუძველზე ელმავლების შემდგომი წარმადობის ამაღლება.

ამის მიღწევის გზაზე თვითეულ დაბვეებულ შეცდომას პარტკომი კომუნისტების მსჯელობის საგნად ხდის. იყენებენ პარტიულ-სტატიკური და ოგანიზატორული მუშაობის ყველა ნაცად მეთოდს: კრიტიკას, ლექციურ პროპაგანდას, ტექნიკურ სწავლებას, ადამიანთა აღზრდას მოწინავეთა მაგალითზე.

ამჟამად დეპოში რამდენიმეე გადიდებულია ხაზზე სალოკომოტივო ბრიგადების მუშაობა ზედიქტ საათებში. ეს გავლენას ახდენს საწარმოს ეკონომიურ მაჩვენებლებზე. მემანქანეები და მათი თანაშემწეები იმის ნაცვლად, რომ მეტ დროს მგზავრობას ახმარდნენ, იძულებული ხდებიან მოძრაობის მუშაკთა შეცდომების გამო საათობით ისხდნენ მობრუნების პუნქტებში და ელოდონ მატარებელს. რას აკეთებენ კომუნისტები ამ სერიოზული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად?

ვსინჯავთ პარტიული კრებებისა და პარტკომის სხდომების ოქმებს. მათში ბევრია საქმიანი და პრინციპული ლაპარაკი სალოკომოტივო ბრიგადების ზედიქტ საათებში მუშაობის შესახებ. კომუნისტებს ეს აწუხებს, და თვითეული შეძლებისამერ ყველაფერს აკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ ეს ნაკლოვანება რაც შეიძლება მალე იქნას

ᲣᲛᲦᲘᲙᲕᲚᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში 8 დეკემბერს სკოლების, ტექნიკუმების, მუსიკალური სასწავლებლების მასწავლებლებთა და სამეცნიერო ბიბლიოთეკების აღმზრდელთა დიდ ჯგუფს გადაეცათ სიგელები საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ. გადაეცათ აგრეთვე სიგელები საქართველოს სსრ პროფესიონალ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის და რესპუბლიკის პროფესიონალ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვეტაძემ** წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ალოდგილემ **მ. ლელაშვილმა** საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ სიგელები გადასცა თბილისის მხატვრული თვითმოქმედების „ოლტურული-საგანმანათლებლო“ სასწავლებლის მასწავლებელს **ე. აბულაძეს**, თბილისის 81-ე საშუალო სკოლის დირექტორს **ა. აგარონიანს**, თბილისის მე-5 მუსიკალური სკოლის დირექტორს **ტ. არონიშიძეს**, თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს **გ. ბუკაჩს**, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მასწავლებელს **კ. ლონტს**, თბილისის № 1 საქალაქო ფეხბურთის სპორტული ბაღის აღმზრდელს **მ. გომელაურს**, თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს **დ. გონდაურს**, თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ნასწავლებელს **პ. გულუას**, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოს სკოლის ინსპექტორს **ს. დვალს**, თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორს **გ. ზუმბურიძეს**, საქართველოს ფიზიკურტერის ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს **ს. კორძაიას**, თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს **დ. ნაცვლიშვილს**, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განყოფილების ინსპექტორს **ა. ორახელაშვილს**, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განყოფილების ფუფროსის მოადგილეს **ა. ლუკაშვილს**, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს **დ. ფოფხაძეს**, თბილისის ოფიციერთა სახლთან არსებული მუსიკალური სკოლის მასწავლებელს **ვ. პეტროსიანს**, პენსიონერს **თ. ხოლომონიას**, თბილისის № 59 საბავშვო ბაღის აღმზრდელს **ე. ტატიშვილს**, თბილისის 37-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს **თ. ტომჩიენკოს**, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მასწავლებელს **ნ. ჩიქოვანს** და სხვებს.

პროფესიონალ-ტექნიკური განათლების დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ პროფესიონალ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებანი მეინიჭათ თბილისის № 18 პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს **შ. ეზიკიანს**, თბილისის № 32 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს **ი. ილინს**, თბილისის № 11 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს **ა. იორამაშვილს**, თბილისის № 35 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს **ლ. ქობალიას**, თბილისის № 41 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს **ვ. მაკვარიანს**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების საბჭოს მწყობრ კომიტეტის უფროს ინსპექტორს **ე. თეიმურაზოვას**, თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მასწავლებელს **ვ. ტელიტინს**, თბილისის № 38 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს **ვ. შმელიოვს**. მათ მიეღოს სიგელები საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

სიგელები საქართველოს სსრ პროფესიონალ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის წოდების მინიჭების შესახებ ამ დღეს გადაეცათ თბილისის № 6 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს **ვ. გაბოძეს**, თბილისის № 32 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს **ბ. კოხრიძეს**, თბილისის № 18 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს **ზ. ნონიაშვილსა** და თბილისის № 18 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს **ზ. ხელაიას**.

სახალხო განათლების მუშაკთა საჭლით, რომლებიც მიიღეს საპატიო წოდებანი, გამოვიდნენ თბილისის 29-ე საშუალო სკოლის დირექტორი **ნ. ბულისკირია**, თბილისის მხატვრული თვითმოქმედების სასწავლებლის მასწავლებელი **ს. გობეჯიშვილი**, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე **ბ. კრასლავსკი** და თბილისის № 59 საბავშვო ბაღის გამგე **ნ. ეგნატაშვილი**. გამოსულებმა მხურვალე ადღეგა უძღვნეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. პირობა დადეს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა აღზრდონ კომუნისტური საზოგადოების ღირსეული მშენებლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **მ. ლელაშვილმა** მასწავლებლებს მიულოცა საპატიო წოდებების მინიჭება და უსურვა შემდგომი ნაყოფიერი მუშაობა სამშობლოს საკეთილდღეოდ. წარმატებანი შრომასა და პირად ცხოვრებაში. (საქდესი).

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-2 გვერდი, ხუთშაბათი, 14 დეკემბერი, 1967 წ.

რამენსკოე—გორი

მალე შეხვედრამდე, მეგობრებო!

სტუმრობს სახემოღიმარი გამოგება მასპინძელი, სათითაოდ გააცნო მოსკოვის ოლქის რამენსკოს რაიონის კოლმეურნეობა „ლენინეცის“ თავმჯდომარე, დელეგაციის ხელმძღვანელი სერგეი ბორბაჩოვი, აგრონომი, ფერმის გამგე, ბრიგადირი და კოლმეურნეები.

— ეს კი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ჩვენი კოლმეურნეობის № 5 ბრიგადის ბრიგადირი ნიკოლოზ მელანაშვილი, — გააცნო სტუმრებს ნიკოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რევაზ ყანჩაველმა და დასძინა: — თქვენ გაინტერესებდათ, როგორ ცხოვრობენ ჩვენი კოლმეურნეები. აი ერთ-ერთი მათგანის ბინაში ვართ. ხომ მიგვიღებთ, ნიკოლოზ?

— მობრძანდით, მეგობრებო, მობრძანდით, რატომაც არა. დიდად მოხარული ვარ, რომ მესტუმრეთ. — მასპინძელი სტუმრებს სახლში შეუძღვა.

რამენსკოელები ნიკოზში შემთხვევით რიდი მოხდენენ. ჩვენი გაზეთის კეთილგულებს ალბათ ახსოვთ, საიუბილეო წლის დასაწყისში გორის რაიონის მშრომელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მშრომელები რომ გამოიწვიეს. ასე შეიკრა კიდევ ერთი რგული რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა. შეჯიბრებამ თანდათან ფართო ხასიათი მიიღო. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ამ ორი რაიონის კოლმეურნეობები და სამეურნეოებიც. ნიკოზელებმა „ლენინეცის“ კოლმეურნეობა „ლენინეცის“ მშრომელები გამოიწვიეს.

მომდინარე წლის ნოემბერში ნიკოზელები ეწვიენენ რამენსკოელ მეგობრებს, სადაც ყურადღებით გაეცნენ მათ მოწინავეთა გამოცდილებას. ამ დღეებში კი ნიკოზელებს საპასუხო ვიზიტით რამენსკოელები ეწვივნენ, დათვალიერეს ქართველი მეგობრების ხეხილის ბაღები, მეცხოველეობის ფერმები. დაინტერესდნენ შრომის ორგანიზაციით, კოლმეურნეობის ეკონომიკით და კოლმეურნეთა ცხოვრების დონით. ესტუმრნენ რამდენიმე კოლმეურნის ოჯახს. მოეწყო შეხვედრა სოფელ ნიკოზის მშრომელებთან.

დელეგაციის ხელმძღვანელი სერგეი გორბაჩოვი ქართველ მეგობრებს ესაუბრა თავიანთ მიღწევებზე. მან აღნიშნა, რომ „ლენინეცელები“ მოსკოვის მშრომელებს ამარაგებენ მეცხოველეობის პროდუქტით და ბოსტნეულით. — ერთ საფუარაე ძროხაზე, — თქვა გორბაჩოვმა, — 3.600-3.800 ლიტრ რძეს ვიღებთ. ჩვენი მიზანია წველადობა 4.000 ლიტრამდე „ავიყვანოთ. კარგი მაჩვენებლები გვაქვს აგრეთვე ხორცის და ბოსტნეულის წარმოებაში. ჩვენი კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი მილიონნახევარს აღემატება.

რამენსკოელ მეგობრებს ნიკოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რევაზ ყანჩაველმა გააცნო სოციალისტური ბრიგადის ახალი ვალდებულებები:

— 1968 წელს, — თქვა ყანჩაველმა, — ჰექტარზე მივიღებთ 70 ცენტნერ ხიზის ნაცვლად 55 ცენტნერისა, თვითეული საფუარაე ძროხაზე 950 ლიტრის ნაცვლად 1.500 ლიტრ რძეს. ყოველი 100 ძროხაზე შევინარჩუნებთ 85 ხბოს. 1968 წლის ივნისში შეგასრულებთ სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის გეგმებს. დავამთავრებთ 400-ადგილიანი კულტურის სახლის მშენებლობას და აბანოს. მოვასაფალტებთ სასოფელო გზებს. მკვეთრად გავაუმჯობესებთ სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

სტუმრებმა ყურადღებით მოისმინეს ნიკოზელთა ვალდებულებები და გამოწვევა მიიღეს.

მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „ლენინეცის“ მშრომელთა დელეგაციას რაიონის ეკონომიურ მაჩვენებლებზე, მის პერსპექტივებზე ესაუბრა საქართველოს კპ ცკის რაიკომის პირველი მდივანი რემაზ ბზიშვილი. შემდეგ სტუმრებმა დათვალიერეს გორის რაიონის საკოლმეურნეოთაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა და მეცხოველეობის ფერმა. ნახეს ქალაქისა და რაიონის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ბორჯომში და ბაკურიანში.

რამენსკოეს მშრომელთა დელეგაცია ნიკოზელ მეგობრებთან ერთ კვირას დარჩა. მალე შეხვედრამდე ჩვენთან რამენსკოეში, ქართველო მეგობრებო! — უთხრეს გამგზავრების წინ რუსმა მეგობრებმა ნიკოზელებს.

რ. ბასილაშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.



„ოქროს რთველი“ გრძელდება ურეკის (მახარაძის რაიონი) ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში. ასობით მკრეფავი დაუღალავად შრომობს იმისათვის, რომ უდანაკარგოდ აიღონ მანდარინის უხვი მოსავალი. უკვე ტონობით მანდარინი გაიგზავნა შიფუფთავ ქარხანაში, აქედან კი — სხვადასხვა ქალაქებში. ამ დღეებში თავდადებულად შრომობენ ახალგაზრდა მეციტრუსეები, რომლებიც. ჩამბული არიან წინასაახალწლო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ შორის დაწინაურდა ახალგაზრდა მუშა, კომკავშირელი რაისა ანჩერბაკი. იგი ყოველდღიურად 250-300 კილოგრამ მანდარინს კრეფს ნაცვლად 200 კილოგრამისა. სურათზე: რაისა ანჩერბაკი მანდარინის კრეფის დროს.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ᲛᲔᲥᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲝᲚᲮᲘᲓᲐᲜ

◆ **ᲔᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ** ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებამ ნინოშვილის ქუჩაზე გახსნა საჩუქრების კეთილმოწყობილი მაღაზია. იგი მოპირკეთებულია კურსების გრანიტით.

Ჯ. ᲐᲑᲝᲚᲐᲫᲔ.

◆ **ᲛᲣᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ** საფოსტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონულმა კვანძმა სოფელ გრიგოლიშის ცენტრში გახსნა ახალი საფოსტო განყოფილება, რომელიც მომსახურებას გაუწევს კოლმეურნეებს, მუშამოსამსახურეებსა და სოფელში განლაგებულ სავაჭრო ობიექტებს.

Ბ. ᲐᲚᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ.

◆ **ᲛᲐᲠᲢᲚᲗᲘ** მიმდინარე წელს თელავის რაიკოოპკავშირის ქსელიდან 180-ზე მეტმა საკოლმეურნეო ოჯახმა, სოფლის ინტელიგენტმა შეიძინა პიანინო, 400-ზე მეტ ოჯახში პირველად აეცილიდა ცისფერი ეკრანი, 510 ოჯახმა შეიძინა რადიომიმღები და რადიოლა. ათ თვეში სოფლის მოსახლეობამ 46.700 მანეთის მხატვრული, პოლიტიკური, სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურა შეიძინა.

Ჯ. ᲥᲐᲮᲔᲗᲔᲚᲘᲫᲔ.

◆ **ᲥᲐᲚᲐᲥᲘ** ცხაკაიაში, ლენინის ქუჩაზე აიგო სოფლის მეურნეობის საეციალისტთა საცხოვრებელი 4-სართულიანი სახლი, ხოლო რუსთაველის ქუჩაზე ხალიჩების კომბინატის 5-სართულიანი საერთო საცხოვრებელი. დამთავრდა ოთხსართულიანი სასტუმროს მშენებლობა, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საშუალო სკოლის მშენებლობა, რომელიც 960 ბავშვისათვის არის გათვალისწინებული.

Ლ. ᲙᲣᲜᲭᲐᲫᲔ.

◆ **ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ** რაიონის სოფელ კრიხის ახალგაზრდა კოლმეურნემ ფოთა კუბლაშვილმა სახელი მოიხვეჭა როგორც ალლოიანმა, მოხერხებულმა მონადირემ. იგი მოხერხებულად ათავსებს ერთმანეთთან საკოლმეურნეო შრომასა და ნადირობას. მან სულ რაღაც სამოდე წელიწადში მოკლა 1300 კვერნა და მელა, 100 მაჩვი, სამი მგელი. შ. კუბლაშვილი ძვირფას ნადავლს რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორას აბარებს, რის გამო ბევრჯერ იყო პრემირებული და დაჯილდოებული ცეკავშირის გამგეობის მიერ.

Ა. ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელებმა ახალი წარმატებებით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. რა თქმა უნდა, ეს მიღწევები გვახარებს. მაგრამ ისინი უფრო უნდა ვამრავლოთ. დეკემბერი სოფლად გადაწყვეტი თვეა მომავალი წლის უხვი მოსავლის მიტანისა საფუძვლის მომზადებისათვის. ახლა მთელი რიგი გადაუდებელი სამუშაოებია. სოფლის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა ყველა დარგში წარმატებით დაამთავრონ სამეურნეო წელი. ამთავითვე უნდა გავამახვილოთ ყურადღება საგაზაფხულო თესვისათვის კონდიციური, დარაინთებული ჯიშის ყველა სახის თესლის მომარაგებისათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ მზრალზე დათესილი კულტურები უხვმოსავალს იძლევა. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა მზრალად ხვნას. ეს სამუშაო კი დროზე, აგროტექნიკურ ვადებში უნდა დამთავრდეს. 10 დეკემბრისათვის რესკუბლიკაში მზრალად მოხნული იყო 135.195 ჰექტარი, გეგმით კი უნდა მოიხნას 203.855 ჰექტარი. ამოცანა ის არის, რომ დაჩქარდეს მზრალად ხვნა ან ანგარიშით, რომ დავალება დეკემბერში შესრულდეს. ყოველი დღე, საათი, ხელსაყრელი ამინდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. დღევანდელი საქმე ხვალისათვის არ უნდა გადავდოთ. ისე არ უნდა დაგვემართოს, როგორც ქართული ანდაზა ამბობს: „დღე-მეხვალე ძაცსაო თოლი მოკდა კარსაო“.

ამასთან ერთად დეკემბერში ბევრი სხვა სამუშაოც არის. ვენახებში მიმდინარეობს ვაზის შტამბის გასუფთავება, ტიგოების, საყრდენი სარების გამოტანა, ნიადაგის დამუშავება. ახალი ვენახის გასაშენებლად საჭიროა მომზადდეს პლანტაჟი, უნდა შესრულდეს ახალი ვენახისა და ხეხილის გაშენების წლიური გეგმა. დროულად უნდა დამთავრდეს ხეხილი ბაღებში გასხვლა, ნიადაგის დამუშავება, ნაკელის შეტანა. უნდა განხორციელდეს ხეხილის მავნეცლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

დიდი საზრუნავი აქვთ ჩვენს მეცხოველეებს. ერთხელ კიდევ გულდასმით უნდა შემოწმდეს, ყველაფერი მზად არის თუ არა პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის. შეჩნეული ნაკლოვანებები სწრაფად უნდა გამოსწორდეს. საჭიროა მეცხოველეობის ფერმებსა და ბრიგადებში ყველა პირობა შეექმნათ პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენს მეცხოველეებს უნდა შევუქმნათ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები, გავაუმჯობესოთ მათი კულტურული მომსახურება. ეს განსაკუთრებით აუცილებელია ყინულარის ზამთრის საძოვრებზე.

1967 წელი მიიწურა. კოლმეურნეობებში ჩაღდება მზადება საშეურნეო წლის შედეგების შეჯამებისათვის. თვითეულ კოლმეურნეობაში ტარდება ყველა სახის ქონების, ნარგავების, პროდუქტებისა და ცხოველების ინვენტარიზაცია. ეს მეტად რთული და პასუხსაგები სამუშაო მოითხოვს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კონკრეტულ დახმარებას. დროულად უნდა შეგეჯამოთ თვითეული ბრიგადის, ფერმის, რგოლისა და კოლმეურნეობის მიერ წლიური დავალების შესრულების წინასწარი შედეგები.

ამის საფუძველზე კოლმეურნეობაში უნდა მომზადდეს წლიური ანგარიში. იწყება მომავალი წლისათვის საწარმოო გეგმების შედგენა. ამ სამუშაოში ფართოდ უნდა ჩაგებათ კოლმეურნეობის აქტივი, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ბრიგადირები, მერგოლურები, ფერმების გამგეები, გამოცდილი მუშაკები.

ეს და სხვა გადაუდებელი სამუშაოები დეკემბერში ყურადღებიდან არ უნდა გამოვარჩეს. ყველა პირობა შეექმნათ პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენს მეცხოველეებს უნდა შევუქმნათ ეკონომიური ინტერესი მომავალი წლის მოსავალს. მთავრდება მზრალად ხვნა, მიმდინარეობს საადრეო „კარტოფილის, საადრეო ჯიშის ბოსტნეულის რგვა. მეურნეობათა კოლექტივები თავდადებით შრომობენ საკვალსათბურო მეურნეობის მოსამზადებლად. დაიწყო ახალი ბაღ-ვენახების გაშენება, რომელიც 250 ჰექტარით გაფართოვდება. ბაღების, ბოსტნების, ვენახების გაშენემო ირგვება ტუის დამცავი ზოლები, რისთვისაც გამოყოფილია 5 მილიონი ძირი მერქნიანი კულტურა. პირველად მიმდინარე წელს ტრესტის სისტემაში ავჭალის საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა სათბური მეურნეობა, რომელიც მთელი წლის მანძილზე მოიწევს კიტრსა და პომიდორს.

საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა კიდევ უფრო უხვი გახადონ მშრომელთა სუფრა.

Ჯ. ᲚᲝᲛᲮᲐᲫᲔ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ნიბოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი.

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ, ᲠᲫᲔ, ᲮᲘᲚᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲣᲤᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲝᲑᲐ-ᲛᲔᲠᲫᲔᲕᲔᲝᲑᲘᲡ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ახალი ბოსტნეულით, რძით, ხორცითა და ხილით თბილისის, რუსთავის, საქართველოს სხვა ქალაქებისა და ჯანმრთელობის კერების მომარაგებაში. საკმარისია ითქვას, რომ იანინი იძლევიან რესპუბლიკაში დამზადებული ბოსტნეულის თითქმის ნახევარს. წელს საბჭოთა მეურნეობებმა მოიწიეს დიდძალი კვების პროდუქტები და წარმატებით ამთავრებენ სეზონს.

შესანიშნავი შედეგები მოაქვს სასოფლო-სამე

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 14 დეკემბერი, 1967 წ.

საერთაშორისო ცხოვრება

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

**ჰანოი, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გვატყობინებს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს განზრახული აქვთ გაავ

ჩვენს ყარა-ყარაფში

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲜᲘᲜᲔᲑᲔᲜ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲜᲐᲘᲠᲐ-ᲜᲐᲘᲠᲐ

◆ **ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ.** (საკ. კორ.). ამას წინათ გეგეჭკორში, კულტურის სახლში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი და აარტიის გეგეჭკორის რაიკომმა მოაწყვეს რევოლუციონერ საშა გეგეჭკორის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

საშა (ალექსანდრე) გეგეჭკორის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. მირცხულავა. საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩხოლარიამ ალაპარაკა რაიონის ისტორიულ-რევოლუციურ წარსულზე.

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მოაწყო დიდი მოძრავი გამოფენა თემაზე „ჩვენი საშა“, რომელიც სამი განყოფილებისაგან შედგებოდა: „საშას ოჯახი“, „საშას რევოლუციური მოღვაწეობის წლები“, „საშა გეგეჭკორი — სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი საქართველოში“.

◆ **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). ამას წინათ საუკეთესო სახუმარო მიიღეს დაბის მცხოვრებლებმა. რაიონის ცენტრი დაამშვენა ხელოვნების შესანიშნავმა ქმნილებამ — 550 კვადრატული მეტრი ფართის მქონე „სოფლმომბრო კედელმა“. იგი გრანიტით არის მოპირკეთებული.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲒ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲛᲝᲐᲛᲐᲒᲔ



ᲒᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ სახელი — „ᲝᲩᲘᲠᲜᲘᲜᲘᲐ“ დაურქმევიათ. მას იაკობ სეფიაშვილის წყაროსაც ეძახიან და საგზებით აამართლიანადაც. იგი სწორედ იაკობ სეფიაშვილს ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათი წლის წინათ დაუშშვენებია. ამას გვამცნობს აქვე, მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილი წარწერაც.

ხალხს ლექსიც კი გამოუთქვამს ამ წყაროზე.

აქ გადმოქუხს საარაკო
მეტად სუფთა ცივი წყარო,
ამის ბადალს ვერსად ნახავთ,
ქვეყანა რომ დაიარეთ.

თვით წყაროს მომწყურებია და ამშვენებელზე ლექსში ნათქვამია:

დღე და ღამე შრომისაგან
არ მოსვლია თვალზე ძილი,
დაგვიტოვა სასახელოდ
ლაილაშის თვალსაჩინი.

ეს წყარო მართლაც რომ მთელი სოფლის მშვენება და თვალსაჩინია. კლდიდან, რომელზეც ცემენტის დულაბით ლამაზი ნაგებობაა მიშენებული, მსხვილი მილებით რამდენიმე ადგილას მძლავრ ჭავლებად გადმოქუხს ცივი, კრიალა წყალი, იქვე მოწყობილია საკმაოდ მოზრდილი საცურავი აუზები. ზაფხულობით აქ მთელი სოფლის ახალგაზრდობა მიეშურება საბანაოდ.

„ოქრონინის“ წყარო სოფლის მშრომელთა ერთ-ერთი საუკეთესო მეთის ცივი წყაროა გამოყვანილი, რომლისთვისაც სოფლელებს ლამაზი სახელი — „ოქრონინი“ დაურქმევიათ. მას იაკობ სეფიაშვილის წყაროსაც ეძახიან და საგზებით აამართლიანადაც. იგი სწორედ იაკობ სეფიაშვილს ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათი წლის წინათ დაუშშვენებია. ამას გვამცნობს აქვე, მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილი წარწერაც.

ხალხს ლექსიც კი გამოუთქვამს ამ წყაროზე.

აქ გადმოქუხს საარაკო
მეტად სუფთა ცივი წყარო,
ამის ბადალს ვერსად ნახავთ,
ქვეყანა რომ დაიარეთ.

თვით წყაროს მომწყურებია და ამშვენებელზე ლექსში ნათქვამია:

დღე და ღამე შრომისაგან
არ მოსვლია თვალზე ძილი,
დაგვიტოვა სასახელოდ
ლაილაშის თვალსაჩინი.

ეს წყარო მართლაც რომ მთელი სოფლის მშვენება და თვალსაჩინია. კლდიდან, რომელზეც ცემენტის დულაბით ლამაზი ნაგებობაა მიშენებული, მსხვილი მილებით რამდენიმე ადგილას მძლავრ ჭავლებად გადმოქუხს ცივი, კრიალა წყალი, იქვე მოწყობილია საკმაოდ მოზრდილი საცურავი აუზები. ზაფხულობით აქ მთელი სოფლის ახალგაზრდობა მიეშურება საბანაოდ.

„ოქრონინის“ წყარო სოფლის მშრომელთა ერთ-ერთი საუკეთესო

ᲔᲡ მოხდა 1943 წელს. ფრონტიდან ქ. ზუგდიდში ცნობა მოვიდა: „მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა მამაცი მეომარი ლეო შენგელია“. ყველა დაამწუხრა ამ ცნობამ. ლეო შრომის-მოყვარე ახალგაზრდა იყო და ამიტომ უყვარდათ მთელ რაიონში.

ოჯახმა შეიცხადა, ძაძით შეიმოსნენ დები და ძმები.

ლეო შენგელია კი ამ დროს, მძიმედ დაჭრილი, უგონოდ იწვა ჰოსპიტალში და სიკვდილს ებრძოდა. ექიმებმა ვერ დაადგინეს მისი ვინაობა. ლეო ტანსამოსი სულ დაფლეთილ-დამწვარი იყო... დეპეშა კი თანამებრძოლებმა გამოგზავნეს, რადგან სადაც ლ. შენგელია იბრძოდა, მტრის ყუმბარისგან ადამიანი კი არა, ქვა და მიწა იყო ადუღებული.

გავიდა ხანი, და შენგელიების ოჯახმა თვითონ ლეოს დეპეშა მიიღო — ცოცხალი ვარ, კვლავ ფრონტზე ვიბრძვი, მტერს მივდევთო...

მართლაც, იგი ბოლომდე იდგა სამშობლოს დაცვის სამსახურში, ვიდრე საბჭოთა არმია გამარჯვების დროშას ბერლინში აიფრიალებდა.

ᲮᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ, ᲙᲣᲚᲘᲜᲐᲠᲘ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ

ᲛᲙᲒᲠᲔᲗᲘᲗ ᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲚᲔᲝ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲒᲝᲑᲘᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ „ᲝᲩᲘᲠᲜᲘᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.

ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲚᲔᲝ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲘᲣᲠᲬᲝᲓᲐ